საქართველო
საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

N 53 2810
22/10/2019

საჩხერის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზაციის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 118–ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილების „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ და საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 მარტის N54 15 განკარგულების „საჩხერის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი და პრივატიზებული იქნას მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება-სოფელ ჭალოვანში ადმინისტრაციული შენობის დემონტაჟის შედეგად მიღებული 319 კგ.მ მეორადი თუნუქის სახურავი.

2. ელ-აუქციონის დაწყების დროდ განისაზღვროს 2019 წლის 25 ოქტომბერი და დასრულების დროდ ამავე წლის 31 ოქტომბერი.

3. მოძრავი ქონების საწყისი საფასური განისაზღვროს დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის საფუძველზე დადგენილი ქონების საბაზრო ღირებულებით (638 ლარი). „ბე“ და „ბიჯი“ საწყისი საფასურის 10–10 პროცენტით.

4. ბრძანება გაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს და სააუქციონო კომისიას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, კანონით დადგენილი წესით, საჩხერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ.საჩხერე, დ.აღმაშენებლის ქუჩა #3).

ბენიამინ ფალავანდიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი